

ოქმი:**ო03. 3726260001**

თარიღი:**17/09/2026**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 16 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, გ. მდინარაძე, დ.ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, ვლ. ხავთასი, ე.წუწუნავა, გ.გაბისიანი ,დ.თოიძე,

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. 2026 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ.ჭყონია

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი. ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2026 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი სტაბილურია, რაც პროპორციულად აისახება საბიუჯეტო ხარჯების დინამიკაში.აღნიშნული კი საფუძველს ქმნის წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ვრცლად საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა,თანამომხსენებელმა პ. ჭონიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს დ მიზანშეწონილად მიიჩნიეს, 2026 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი